2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის

სხდომის

N1 ოქმი

ქ. წყალტუბო --01-------- მარტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის“ სხდომა გაიხსნა 2024 წლის 5 მარტს.

სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი რუსთაველის ქ. N25

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების“ შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 თებერვლის N№48.48240603 ბრძანების საფუძველზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების“ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

გენადი ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯომარე;

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ფატი გაგოშიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ვახტანგ ნადარეიშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნათია ჩაკვეტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

რიმა მარგიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

მალხაზი ჩხეიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი;

მარეხი კანკაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

მაკა თედორაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

იასონ გაბუნია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ირმა ხელაძე - მერის თანაშემწე - მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი;

ფიქრია შვანგირაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის - საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი;

ზურაბ ჯანელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი;

მიხეილ კეზევაძე - მერის წარმომადგენელი რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ვაჟა ჟორჟოლიანი - მერის წარმომადგენელი რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ირაკლი კუჭავა - ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებს მმართველი“;

დღის წესრიგი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 თებერვლის N48.48240603 ბრძანების და **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 -2028 წლების პრიორიტეტების**

დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების“ შესახებ საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად სამუშაო ჯგუფის მიერ, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მიზნით, კითხვარების შემუშავება სფეროების მიხედვით და დარგობრივი სამსახურების მიერ მოქალაქეებთან შეხვედრის განრიგის შედგენა.

მოისმინეს:

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 - 2028 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის წინასწარი ვარიანტის მომზადების შესახებ, მან აღნიშნა რომ **2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლება და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება“** უნდა განხორციელდეს მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე) და წინა საბიუჯეტო წლის 15 ივლისისთვის ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

ასევე ისაუბრა 2025 – 2028 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ, მათ შორის საგადასახადო და სხვა შემოსავლების მოსალოდნელი ზრდის შესახებ.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინაციით უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში. რომელიც უნდა აისახოს პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში.

ასევე მან აღნიშნა რომ გაეროს მდგრადი განვითარების SDG 2030 ლოკალიზების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

მოხსენება გააკეთა ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა იონა ჯოჯუამ.

მან კომისიას წარუდგინა წინა საანგარიშო წელს მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად განისაზღვრული პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი ოთხი წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

მან აღნიშნა რომ ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ძირითადი პრიორიტეტები დარჩება უცვლელი და შესაბამისად გათვალისწინებული იქნება 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში.

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 -2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების“ მიზნით საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად სამუშაო ჯგუფის მიერ, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მიზნით, შემუშავებული იქნა კითხვარები სფეროების მიხედვით და შედგა დარგობრივი სამსახურების მიერ მოქალაქეებთან შეხვედრის განრიგი.

კომისიის თავმჯდომარე: გენადი ბალანჩივაძე

კომისიის წევრები:

გრიგოლ ყურაშვილი

ფატი გაგოშიძე

ვახტანგ ნადარეიშვილი

ნათია ჩაკვეტაძე

რიმა მარგიანი

მალხაზი ჩხეიძე

მარეხი კანკაძე

მაკა თედორაძე

იასონ გაბუნია

ირმა ხელაძე

ფიქრია შვანგირაძე

ზურაბ ჯანელიძე

მიხეილ კეზევაძე

ვაჟა ჟორჟოლიანი

ერაკლი კუჭავა